სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

10.02.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
აპოლონ სილაგაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს თავმჯდომარე;
გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო დობორჯგინიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს მდივანი;
ლაშა გოცირიძე - უკრაინის ამერიკული უნივერსიტეტის (American University of Ukraine) რექტორი;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი;
დავით კახნიაშვილი - ა(ა)იპ - არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ქეთი ცოტნიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
მარიამ შოშიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი, სააპელაციო საბჭოს სამდივნოს წევრი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენელი:
კონსტანტინე სირბილაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი.

შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ლაშა ნარსია - შპს გრიგოლ ხვიტიას სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
ფატი შენგელია - შპს გრიგოლ ხვიტიას სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის შესახებ " 26^5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის შესახებ" 26^7 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა, წარმოდგენილი სახით, ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს გრიგოლ ხვიტიას სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენელს, კონსტანტინე სირბილაძეს, რომ წარმოედგინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. კონსტანტინე სირბილაძემ განაცხადა, რომ 2016 წლის 2 ნოემბრის №9 სხდომის ოქმიდან წარმოადგენდა სამივე სტანდარტთან დაკავშირებულ არსებითი ხასიათის ხარვეზებს. აპოლონ სილაგაძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრს მიუთითა, რომ ძირითად საკითხებზე გაემახვილებინა ყურადღება რადგან მისი თქმით სხდომის ოქმს ყველა იცნობდა. კონსტანტინე სირბილაძის განცხადებით, ექსპერტების მიერ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად აღმოჩნდა, რომ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის მე-7 სემესტრის სტუდენტებს არ ჰქონდათ გავლილი პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კურსები. აღნიშნულ შემთხვევაში კი გამოდიოდა, რომ დარღვეული იყო სწავლების წინაპირობები და შეუძლებელი იყო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე გასვლა. საბჭოს წევრის განცხადებით, საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსის ბაზა. კერძოდ, როგორც ავტორიზაციის საბჭოს წევრმა განაცხადა, დაწესებულება სასწავლო პროცესს ახორციელებდა ორ შენობაში. ავტორიზაციის საბჭოს წევრის განცხადებით, დაწესებულების სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის პირველი შენობა იყო სარემონტო. მეორე სასწავლო კორპუსის შენობა კი სრულიად გამოუსადეგარი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, აღნიშნულ შენობაში არ იყო დაცული უსაფრთხოების ზომები. მიუხედავად ამისა, მეორე შენობაში მაინც იყო განთავსებული ქიმიის 2 ლაბორატორია, სადაც სათანადო აღჭურვილობის არარსებობის გამო ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარება თითქმის შეუძლებელი იყო (არ იყო გამწოვი კარადა, გამწოვი, დაცული რეაქტივების შენახვის და უტილიზაციის სათანადო პირობები). მესამე საკითხი, რომელიც კონსტანტინე სირბილაძის განმარტებით, შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს ექსპერტთა დასკვნის თანახმად, არსებითი ხასიათის შენიშვნად უფიქსირდებოდა, იყო ადამიანური რესურსები. კერძოდ, კონკურსის წესით შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის განხორციელებისას საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებული იყო 118 სტუდენტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ მე-11 მუხლის გ.ბ. პუნქტის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტს უნდა ჰყოლოდა: ცხრა საგანმანათლებლო პროგრამაზე - მინიმუმ ერთი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 15 სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორი. შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავდა: კონკურსის წესით არჩეული 43 პროფესორი და ასოცირებული პროფესორი, აქედან - 18 პროფესორი და 25 ასოცირებული პროფესორი. ვიზიტის მიმდინარეობისას მოხდა სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში გადამოწმება აკადემიური პერსონალის სხვა უმაღლესებთან

ასოცირების მიზნით. კონსტანტინე სირბილაძის განცხადებით, აკადემიური პერსონალის ნაწილს არ ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია, ამასთან ზოგიერთ მათგანს სალექციო საათები აღებული ჰქონდა, როგორც ზუგდიდში, ასევე თბილისშიც, შესაბამისად, ეს ქმნიდა როგორც ავტორიზაციის, ისე საბჭოს წევრების ეჭვს თუ რამდენად სრულყოფილად ხორციელდებოდა დაწესებულებაში სასწავლო პროცესი.

კონსტანტინე სირბილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ხშირად ახსენებდა პროგრამების მილევად რეჟიმს, თუმცა მისი თქმით არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა აღნიშნულ გარემოებას, რადგან უნივერსიტეტი ვალდებული იყო სტუდენტისთვის შეექმნა სრულფასოვანი გარემო, სადაც ისინი მიიღებდნენ შესაბამისი ხარისხის განათლებას. შესაბამისად, თუკი დაწესებულება საავტორიზაციო განაცხადით წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამებს, მას აღნიშნული პროგრამების განხორციელებისთვის უნდა ჰქონოდა სათანადო რესურსები. ამასთან დაკავშირებით უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა სააპელაციო საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მოქმედი კანონმდებლობა მილევადი რეჟიმის ცნებას არ ითვალისწინებდა, შესაბამისად, თვითშეფასების კითხვარში ასახული ყველა პროგრამა სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ავტორიზაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, აპოლონ სილაგაძემ, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით, სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ფატი შენგელიამ საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ არსებითად არ იქნა შეფასებული ავტორიზაციის სტანდარტები. კერძოდ, უნივერსიტეტში სემესტრის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენდა 21 კვირას. ფარმაციის პროგრამის სილაბუსებში სასწავლო კვირებად გაწერილი იყო 18 კვირა, ხოლო, მომდევნო სამი კვირა განსაზღვრული იყო დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისთვის, რაც გაწერილი იყო სამართლებრივ აქტებში.

შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის მაძიებლად განაცხადის წარდგენა მოხდა 2016 წლის პირველ სექტემბრამდე და სწორედ აღნიშნული მიზეზით არ იყო ასახული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებაში შესული ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრებოდა სტუდენტთა შეფასების ფორმაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თუმცა, ახალი რეგულაციები, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული იყო დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. კერძოდ, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა ყოფილიყო დასკვნითი შეფასების 60%-ზე მეტი. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა განსაზღვრულიყო 50%-ით. ასევე, სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ჰქონდა იმავე სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნულიყო დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დაწესებულების წარმომადგენელმა სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული პროგრამა ხორციელდებოდა მილევად რეჟიმში, ასევე დაწესებულება მილევად რეჟიმში ახორციელებდა ფარმაციის პროგრამას და ინგლისური ფილოლოგიის პროგრამას. ფატი შენგელიას განცხადებით, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამაზე ირიცხებოდა 5 სტუდენტი. აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელი იყო ზუგდიდში მოქმედი ერთადერთი სტომატოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი დანელია. ფატი შენგელიას განცხადებით, კონსტანტინე

სირბილაძე არ განმარტავდა ზუსტად მატერიალურ ბაზასთან და სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებს სრულად არ ჰქონდათ საკითხი შესწავლილი. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განცხადებით, დაწესებულება უზრუნველყოფდა სტუდენტთა სწავლებას კლინიკის ბაზაზე. არსებობდა გაფორმებული მემორანდუმები. მილევად რეჟიმთან დაკავშირებით, ფატი შენგელიამ დამატებით განმარტა, რომ რადგან ზემოაღნიშნული პროგრამები იყო მილევად რეჟიმში და დაწესებულება ემზადებოდა რეავტორიზაციისთვის, ისინი ძირეული ცვლილებების გატარებაზე სწორედ ამ მიზეზით იკავებდნენ თავს. თუმცა ისინი უფრთხილდებოდნენ სტუდენტებს და ცდილობდნენ სერვისის სრულყოფილად მიწოდებას. შესაბამისად, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, დაწესებულება მოახდენდა დასკვნაში დაფიქსირებული ყველა შენიშვნის გამოსწორებას.

დაწესებულების რექტორმა ლაშა ნარსიამ მატერიალურ ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მცირე კონტიგენტის გამო ჰყავდათ სტუდენტები ერთ შენობაში, კერძოდ, მისი განცხადებით ამ ეტაპზე შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებული იყო 118 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, აპოლონ სილაგაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა შეკითხვით, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გაფორმებული ხელშეკრულება ქ. თბილისში არსებულ ლაბორატორია „ჯეოლაბთან". ფატი შენგელიამ განაცხადა, რომ ხელშეკრულებები არსებობდა არსებულ ფირმასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებს არ ჰქონდათ მასალები სრულყოფილად შესწავლილი, რის გამოც, მათი აზრით, დასკვნაში ფიქსირდებოდა ბევრი ხარვეზი. დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსს არ დაეთანხმა საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი, რომელმაც დაწესებულების წარმომადგენელს განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნაში არსებობდა რაიმე სახის ხარვეზი, ისინი ვალდებულები იყვნენ გაცნობოდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამისი რეაგირება მოეხდინათ 2016 წლის 2 ნოემბრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. დაწესებულების რექტორმა, ლაშა ნარსიამ განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი დრო იმისთვის რომ გაცნობოდნენ დასკვნას საფუძვლიანად.

სხდომის თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ განაცხადა, რომ ავტორიზაციის თითქმის ყველა სტანდარტთან მიმართებით, დაწესებულებას ჰქონდა არსებითი ხასიათის ხარვეზები. კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად საჭირო სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების გაუმართაობის, პრაქტიკის განხორციელებისა და აკადემიური პერსონალის საკითხები.

ასევე, მისი განცხადებით, მისთვის საეჭვო იყო თუ როგორ ახერხებდა აკადემიური პერსონალი თბილისიდან ზუგდიდში ჩასვლას და ლექციების ჩატარებას.

16:23 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:33 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის №26 გადაწყვეტილება შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის შემდეგ, 16:37 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
აპოლონ სილაგაძე

მდივანი
ნინო დობორჯგინიძე